

ნებასაშვი

№ 20

თავისუფალი
საბჭოთა საქართველო

1936

ოქტომბერი



პ. საყვარელიძე

— ბატონო ჩემო, რაზე მოგიწყენიათ? უკვე ცხრამეტი წელიწადი გავიდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ... რაცდრო ბადის, მას თანდათან ვფორმდებით. პიტიპით სწორად ის გაწუხებს, რომ რაც დრო ბადის თანდათან ვუახლოვდებით მას!

მეცხრამეტი



მეცხრამეტე წელი... თითქოს მცირე ხანი მზის მსვლელობის, მაგრამ რამდენ საუკუნეს შეიწონის მნიშვნელობით! ოქტომბერი... ეს შრომელთა ნეტარების კარი ღია, რა უთვალავ სიხარულის სათავე და თარიღია!

სისხლით, ბრძოლით მონაპოვარს—ამ ზეიმს და წინსვლის დღესა დედამიწის მეექვსედზე წაუშლია ცრემლი, კვნესა, და უთვალავ წარმატებებს დასდებია გზად და ხილად დიდ სამშობლოს სიმტკიცის და ძლიერების გასაღიდად!

მოთვლა? განა სიტყვა კმარა, ან კალამი დასძლევს მკვეთი რომ ასახოს რა გიგანტად გაიზარდა საბჭოეთი— ეს ქვეყანა —თვალუწვდენი სიძნელე რომ მუდამ ფლობდა, როგორ იქცა უქრობელ მზედ— ცის ქვეშეთის მანათობლად!

განა რომ ვსთქვა: — ავაშენეთ ის შეგქმენით რაც არ გვქონდა დავაზავეთ ზღვა დოვლათი დაუღვევლ ოქროს ფონდად, ავმალდდით და ავამაღლეთ ჩვენი სწრაფვა, დროშა დიდი, და ვინც სუნთქავს წინსვლის ნატვრით— ყველა გულთან გავდეთ ხიდი მათ იმედად მოვევლინეთ, ჩვენ ვიქცით მატალითად—

თუ ვით უნდა ბრძოლა, შრომა, გამარჯვება— ოქტომბრითა! რომ აღწუნსო კვლავ სხვაც ბევრი, თუხდაც მძლავრად შეერმეტყველად განა ამით ჩამოგივლით, ჩვენს მიღწევებს დავეძლევ ყველას?

ვერა, რადგან ყველა იმას, რაც დღეს გვაღებენს და გვახარებს, სულ სხვა სიტყვა გამოხატავს, რომელიც მზეს შეიღარებს! სტალინი!— აი ის სახელი სხივებად რომ გვაფრქვევს შვებას, ეს სახელი წინ მიუძღვის ჩვენს უთვალავ გამარჯვებას!

ეს სახელი დროშა არი დიდი ლენინის მტკიცე მხარი,— მძლე ოქტომბრის ქარიშხლის შემქმნელი და წინამძღვარი! ეს სახელი ნიშანია მტერთა მტვერად გარდაქმნისა, ეს სახელი— სახელია გიგანტური ჩვენი ზრდისა.

ის მზე არის, რომლის შუქში ბრწყინავს დიდი ესეუროპული მოთქვა ეს მსოფლიო მშრომელების სამშობლო და შუქთა ჩქერი. სტალინი— ისმის სიმღერაში და ეს ჰახვი გულს გვრის შვებას, სტალინი— ბრძოლის ყიყინაა და ეს ნიშნავს გამარჯვებას—

გამარჯვებას ყველგან, სადაც ჩაგვრა ზრავდა მშრომელთ გულსა, სად მონობა ბორკილს სდებდა და აჩენდა უღრმეს წყლულსა სადაც ხალხი, ერი, ენა სურვილი და სწრაფვის ყინი,— უხეშობის ქუსლით იყო გასრესილი, დანაცინი!

თვით ჩვენი ცა, ჩვენი მიწა ეს შრომელი, გზირის დედა, მძლე ოქტომბრის მზით ასული სიხარულია მწვერვალზედა განა ამაყ მიღწევების დღეს არ ითვლის სხვებთან თარიღს, განა იმის სიმღერაში დღეს არ მოსჩანს მზე და დარი?

ქოხი დარბაზს შეუტყვლია, სიბნელის წილ შუქი ღვივის, სოფლის დოვლათს აძლიერებს სტალინური კოლექტივი? ეს ვსთქვა, ან სხვა დავეუმატო? მაგრამ სიტყვა ესოდენი— სად მოვენახო რომ ავსახო სიმტკიცე და წინსვლა ჩვენი?

მაგრამ აქაც ივავ სიტყვა— მძლავრი როგორც ქარიშხალი— და ნათლად სჩანს დიდ სამშობლოს გამარჯვების მთელი ძალი: ეს ძალაა მიწას რომ სძრავს ცის ქვეშეთს რომ ატორტმანებს და მსოფლიო ოქტომბრისთვის რაზმავს — ყველა პროლეტარებს,

მტრებს აცოფებს, აღსასრულის მძლავრი ხელით უმტკრევს კარებს და ყოველგან კომუნიზმის ხანძარს უფრო ახანძარებს. რომ ღვართქაფში მოეარდნილმა დაუნგრის ფაშისმს ბუდე, და წალეკოს ყველგან უხეშ ძალადობის ბნელი ზღუდე.

ეს დღე კარზე მომდგარა და მეწამული მისი ფერი, ნიშანს გვაძლევს— გამოვიცნოთ ის მსოფლიო ოქტომბერი. სისხლით, ბრძოლით მონაპოვარს— ამ ზეიმს და წინსვლის დღესა— დედამიწის ზედაპირზე არ დახვდება ცრემლი, კვნესა.

ფარსადანი.

ი ს რ ე ბ ი

ესპანეთის მუშაობზე გენერალ კეიპო დე-ლიანს, რომელმაც თავი ისახელა სევილიაში რადიოში გამოსვლებით ხმა გაუფუჭდა.

გენერალო ფაშისტო
კეიპო დე-ლიანო,
დღეს ცუდ გუნებაზე ხარ
ჩახლეჩილო ხმინო:
თოხლო კვერცხი რას გიზამს,
რომ ჩაყლაპე ასობით?
შენ მოგარჩენს მახვილი
გულში მაგრად ჩასობით.

გერმანიაში ხელისუფლების დადგენილებით განუსაზღვრელი ვადით აკრძალეს ზოგიერთი ხარისხის ძეხვების დამზადება მოქალაქეთა „ნედლი ხორციით მომარაგების მიზნით“.

ყველამ იცოდეს;
ახსოვდეს ყველას,
რომ ფაშისტები
დიდ ნიქს მალავენ
„ხორცის გულისთვის“
ძეხვი აკრძალეს
და „ძეხვისათვის“
ხორცს აკრძალავენ.

პოლონეთში გამოიცა კანონი პოლონეთის ახალგაზრდობის „შრომის ბანაკის“ ორგანიზაციის შესახებ, გერმანიის ბანაკების მსგავსად. ბანაკები იმყოფება სამხედრო ძალა-უფლების კონტროლის ქვეშ.

ადვილად წარმოიდგენთ
რა ბანაკი იქნება,
ალბათ ტანჯვის სისხლი და
ოფლი იქ დაიდგება.
მაგრამ ძალით „ცხოვნება“
ვერსად ვერ გაიმარჯვებს
იქ „აღზრდილი“ აღზრდელებს
ყელში მახვილს მიაბჯენს.





დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლი
აზხ. სერგო ორჯონიძე

რომელმაც მისცა საფუძველი მშრომლებს დასცინონ ყველა იმათ, რომლებსაც არ სჯეროდათ
ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენება მძიმე ინდუსტრიის განვითარების საფუძველზე.

ესკანური მოთხრობა



ქალაქის განაპირას, სასაფლაოს დასაწყისთან, ხელოვნურად გაკეთებულ აკლდამაფარდულში იჯდა ოთხი ახალგაზრდა რესპუბლიკელი: რიქუელი, მიჰელი, კოსტელო და აისა, ჰასაკით ბალები იყვნენ ისინი, სამომავლო გამოცდილებით-კი გაწვრთნილი ჯარისკაცი.

ასე ჩვეულებრივ ისხდნენ ისინი, როგორც ჩვენ ვსხედვართ ხოლმე საწარმოო თათბირზე. მხოლოდ ერთი განსხვავებით: ჩვენ ხშირად ვდგობთ ხოლმე, ვკამათობთ ამათივ საშინაო საკითხზე, იმათ კი სადაო არაფერი ჰქონდათ: თოფებით ხელში — ისხდნენ და სდარაჯობდნენ — მტერი არ შემოპარულიყო ქალაქში.

— მიჰელ!
 — რა?
 — არაფერი, მე მინდოდა მეკითხა...
 — მაინც, რა?
 — მინდოდა მეკითხა: დაჰხოცავდი თუ არა სამ ვაგონ ხალხს, რომ დაგავალონ?
 — ვერაფერი შეკითხვა, ხალხს არა და ფაშისტებს კი მუსრს გავავლებდი ხელში რომ ჩამიფარდებოდნენ!
 ამ ლაპარაკში, ოთხი რესპუბლიკელის სამყოფელოს შორიასლოს, საფლავის ქვებზე ვილაყამ ვადმოაბოტა, ახმახმა, გაურკვეველი ჩაცმულობისამ, ხელში თოფითა და მხარზე გადაკიდულ გატენილი ჩანთით. ბიჭები კურდღლებივით გამოცვივდნენ გარეთ და ახალმოსულს თოფები მიუღერეს.

— შეჩერდი თუ „ვახშამი“ არ მოგნატრები! — მიაკივლა კოსტილომ.

— ეი, აყლაყულავ, კაცი ხარ თუ ფაშისტი? საიდან მოხვალ, რას დაეძებ?
 უცნობი ერთ ადგილას გაჩერდა, ხელები მალა ასწია და ხმას არ იღებდა.

გაჩხრიკეს, ხუთი ვაზნა აღმოაჩნდა, ექვსი კონსერვის კოლოფი: გაუხსნელი, ხელუხლებელი.

— რესპუბლიკელი ხარ? — შეეკითხნენ.

— მმუუუ... — წამოიბლაგლა ტყვემ.

— ხარი ყოფილა! — იხუმრა აისამ.

— ხარი ყოფილა და ჩვენ რაღა ნაკლები ტორედორები ვართ! — მიახალა კოსტილამ.

ისევ უცნობს მიაღვინა.

— რესპუბლიკელი ხარ? — ჰკითხეს.

— მმუუ... —

— ფაშისტი ხარ?

— მმუუ... — კვლავ დაიღმუვლა და ტყვეებულმა და მუცელზე ხელები მოიჭირა, „მშიაო“ ანიშნა.

— მშიერი ყოფილა, გერმანელი იქნება! — აზრი გამოსთქვა აისამ, — კვლავ უმცროსმა იმ ოთხში.

— მუნჯია ბიჭებო, რა მოვუხერხოთ?!

— ვაჰამოთ, ვაძლება და ალაპარაკდება.

— ფარდულში შეიყვანეს მუნჯი მეომარი, პური და ძეხვი მისთავაზეს და მიჰელმა დობლობა დაიწყო:

— სიმღერა იცი? — შეეკითხა უცნობს.

პასუხი ვერ მიიღო.

— არც ცეკვა?

— მმუუუ... — დაიღრწა მუნჯი და მხოლოდ ახლა ანიშნა „მუნჯი“ ვარო.

— ნაღდი მუნჯია ბიჭებო, კამოს, გაყვარნოთ თავის ხარა - ხურა და გავუშვათ. ჩვენი კაცი იქნება, ალბათ ფრონტიდან გამოაბრუნეს როგორც გამოუსადეგარი.

— იქნებ გამოიპარა? შეიძლება დეზერტირია?

— თავი დაანებეთ, მუნჯია, რა უნდა გააკეთოს ფრონტზე!

— კონსერვებსა და თოფს ნუ გავატანთ, ჩვენ უფრო დაგვირდება. ჰმ! საწყალს ასე მოშინია კონსერვის გახსნაც ვეღარ მოუხერხებია!

— კონსერვი გახსენით ბიჭებო. ბრძანება გასცა მიჰელმა.

კოსტილო ბრძანების ასრულებას შეუდგა „მეორე გახსენიო“. — ხელით ანიშნა მუნჯმა. დაუჯერეს მეორე ყუთი გახსნეს:

— ცუდი გემოვნება ჰქონია, ბალრიჯანა, რა ყოფილა, სხვა გახსენით, იქნებ უკეთესი იყოს.

მეორე ყუთის გახსნას შეუდგა კოსტილო. მუნჯი წამოღდა, წასვლა დააპირა.

და მეორედ გახსნილ ყუთში ვაზნები დაუხედათ ბიჭებს.

— იტალიელი ყოფილა მამა... — და კნაღამ შეაგინა მიჰელმა.

— კინაღამ მოგვატყუილა არამზადამ! — წამოიძახა აისამ და დიტყვევებულს თოფს ლულა მიაბჯინა კეფაზე.

— ფაშისტი ყოფილა, რა ვუყოი? — იკითხა აისამ.

— თავი მოვკვეთოთ! — წამოიძახა კოსტილომ.

— რა გამოვა მაგით, ფაშისტა, უთავოთაც იოლად წავა.

— შტაბში წაიყვან, იქ ამოიღკამს ენას — ბრძანა კოსტილომ.

და „მუნჯი“ მეომარი სამხედრო შტაბისაკენ გაიძლირა რიქუელმა. გ. ივანიშვილი.

მგლის ზრახვები



ვინ აირჩია მეფედ ეს კატის ჯიში — ლომი? თაგვებზე ინადიროს, მათთან გამართოს ომი. მასზე მტირე მაქვს განა მე მტაცებლობა მადა? საშოგნად დიდი კერძის სად არ გავსკურე სადა? კმარა მეფობა მისი, აწ დაღვა ჩემი ჯერი.

თავის სოროში შეტეოს უტვინო ეს ბებერი. ამისრულდება ნატვრა: მგელი გავხდები მეფედ. შთამომავალნო, ძმანო, ძაღლებო თქვენც იყეფეთ! ჩემი მოდგმა ხართ თქვენაც ვით ლომი — კატის ჯიში. იყეფეთ ჩემთვის, ძმანო, ხურაფრია ნუ გაქვთ შიში.

ნახ. ო. შმერლინგის



ლე. წინაპარი თქვენი, შთამომავლობა ძველი, —

გავხდე ნადირთა მეფე თქვენი ძველი ძამ მგელი.



გ. ისაევ

— აი საუკეთესო კანდიდატი ჩასიულ თეორიის კათედრის ხელმძღვანელის ადგილზე
ორ კვირაზე მეტია, რაც ჭკუიდან შეიშალა.



1917 წლის 28 თებერვლის დღეებში პეტროგრადიდან ში-
ფრის მავარი დევეზა მოვიდა:

„27 февраля скончался Мтаврбадзе“ თვის მპრობელო-
ბის დამხობის მონატრულებმა ყველამ გაიგეს მისი შინაარსი,
აზვადნენ და ქუჩებში ვაპოვიდნენ. მალე გაჩაღდა სხვადასხვა
პარტიების, სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა ბრძოლა.
იმ ხანებში მე და ჩემი ნაცნობი კაპიტონი საშუალო სკოლის
უკანასკნელ კლასის მოწაფეები ვყავით. სხვადასხვა სასწავლე-
ბელში ვსწავლობდით, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვხვდებოდით,
რადგან ჩემი ბინის პირდაპირ ცხოვრობდა.

ერთ დღეს მე და კაპიტონი ქუთაისის ბულვარში ერთმა-
ნეთს შევხვდით და ერთად გავიარეთ. მიტინგი იყო დაწყებუ-
ლი და ხალხი ბუზივით ირვოდა.

ცოტა გავიარეთ.

ბლის განაპირას, გრძელ სკამზე, ოკრიბის მხარიდან ჩამო-
სული ორი სოფლელო გოგო იჯდა.

— შენ, დაია, რომელი პარტიის ხარ? — კითხა ერთმა მათ-
განმა მეორეს.

— მე, დაია, რომელი პარტიაც გეიმარჯვებს, იმ პარტიის
ვიქნები...

— ჭკვიანი პასუხია! — მითხრა კაპიტონმა და რომ მისი შე-
ნიშვნა ხურობად მიმელო, ნათქამს თან ღიმილიც დაატანა.

* * *

თებერვლის რევოლუციამ სახელმწიფოს მართველობის საქმე
მემამულე როძიანკოს, გუჩკოვის და მათი დამქაშეების: ესერე-
ბის და მენშევიკების ხელში მოაქცია.

ვინაიდან საქართველოში მენშევიკები უმრავლესობაში აღ-
მოჩნდნენ, კაპიტონის თანაგრძნობის სასწორიც მათკენ გადი-
ხარა.

* * *

გამოქვეყნდა ლენინის აპრილის თეზისები. მისმა შინაარსმა
კაპიტონის მეზობელ ახალგაზრდათა ერთი ჯგუფი ბოლშევი-
კურ პოზიციებზე დაგვაყენა. კაპიტონსაც გავაცანით ჩვენი
განწყობილება და მისი საფუძველი.

— კარგია... თუ მთელი ძალა უფლება საბჭოებმა აიღეს,
მაშინ ჩვენი საქმე კარგად იქნება, — განაცხადა მან.

* * *

სამ ივლისის მოწყობილ დემონსტრაციის შემდეგ რუსეთის
ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ბოლშევიკურ ორ-
განიზაციების სრული განადგურება. 7(20) ივლისის გამოვიდა
კერენსკის მთავრობის დადგენილება ლენინის დაპატიმრების
შესახებ.

— რაფერ არის თქვენი საქმე? მგონი ნაადრევი გამოდგა
თქვენი პარტიის ლოზუნგები. — ირონიულად შემნიშნა კაპი-
ტონმა, რომელსაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ
დასავლეთ საქართველოს ერთ პატარა დაბაში შევხვდი.

* * *

როდესაც კრვისერმა ავრორამ პეტროგრადში ზამთრის სა-
სახლეს ყუმბარები დაუშინა და რუსეთის პროლეტარიატმა
ხელისუფლება აიღო, იმ ხანებში, ტფილისში მომავალ მატარე-
ბლის ერთ ვაგონში ისევ კაპიტონს შევხვდი.

— კერენსკი გაპარულა! ჩვენი საქმე კარგად მიდის. აღ-
ბათ საბჭოთა ხელისუფლება გაიმარჯვებს! — მომახალა შეხვედრის-
თანავე კაპიტონმა.

— მცირე ხნის შემდეგ რეაქციონერი გენერალი მუდუნაჩი
ველურ დივიზიებით და დასავლეთის იმპერიის რუსული
წიფოების დახარებით ლენინგრადის ბჭებს მიუახლოვდა,
კაპიტონმა ტფილისში მთაწმინდის ვიწრო ქუჩაზე გზა გადა-
მიჭრა:

— რაფერ არის თქვენი საქმე? პროლეტარიატის დიქტა-
ტურა კარგი ნაბიჯია, მაგრამ მაგ საქმიდან საბოლოო ანგარი-
ში მგონი არაფერი უნდა გამოვიდეს.

როდესაც იუდენიჩის ბანდები პროლეტარიატმა განადგურა
და დასავლეთ ევროპის (გერმანიის, ავსტროუნგრეთის, იტალიის)
სამრეწველო ქალაქებში და მთელ რიგ კუთხეებში სოციალის-
ტური რევოლუციის დროშა აფრიალდა, კაპიტონმა კილო შეი-
ცვალა:

— ჩვენი საქმე კარგად მიდის, ჩვენ მიერ დანთებული
ცეცხლი ადვილად შეიძლება მართლაც მსოფლიო ხმად გა-
დიქცეს. — გვეტყოდა ხოლმე შეხვედრისას იმ ხანებში მე და ჩემს
მეგობარს კაპიტონი.

რამოდენიმე თვის შემდეგ კი გავიგე, რომ კაპიტონი საქარ-
თველოს მენშევიკურ ხელისუფლებას ლონდონის ერთ-ერთ სა-
ვაქრო სკოლაში გაეგზავნა სწავლის გასაგრძელებლად.

დენიკინის თეთრ გვარდიელთა რაზმები ქალაქ არიოლს
მიუახლოვდნენ და უგვირგვინო გენერალს ძილში უკვე კრემ-
ლის კედლები ეზმანებოდა. ლონდონის გაზეთები უკვე ცნო-
ბებს ათავსებდნენ „თეთრებისაგან ალყაშემორტყმულ მოსკოვის“
დღე — დღეზე დაცემის შესაძლებლობის შესახებ.

„თქვენი საქმე გლახად წასულა. მე თავიდანვე ვიცოდი,
რომ სოციალისტური რევოლუცია ნაადრევი საქმე იყო, აღ-
ბათ აწი მაინც ისარგებლებთ ისტორიის, ამ გაკეთილით და
სწორ გზას დაადგები“ — სწერდა იმ ხანებში კაპიტონი ლონ-
დონიდან ჩემს მეგობარს კოლია ოქრობირელს.

დენიკინის და ვრანგელის უკანასკნელი ბანდების განადგუ-
რების და „ნების“ შემოღების შემდეგ კაპიტონი ისევ „საბჭოთა
პლატფორმაზე დადგა“. თავი ძველ რევოლუციონერად გამოა-
ცხადა და საბჭოთა კავშირს დაუბრუნდა.

— ჩვენი საქმე მტიციე და ურყევია. პროლეტარიატის
დიქტატურას ვერავინ დაამარცხებს — ეუბნებოდა ის ძველ პარ-
ტიელებს და კარიე — ას კარიერაზე იკეთებდა.

* * *

პირველი ხუთწლედის სიძნელებები როდესაც გაჩნდა, კაპი-
ტონის ლექსიკონში სიტყვა „ჩვენი“ ისევ „თქვენად“ შეიცვა-
ლა. მალე კაპიტონი ისევ საზღვარგარეთ გაიპარა. როდესაც
გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა დაყარდა და როზენბერ-
გის საომარ გეგმებთან ერთად გაზეთებმა იაპონიელ მილიტარ-
ისტების საბჭოთა კავშირზე თავდასხმის გეგმაც გამოაქვეყნეს,
კაპიტონი კმაყოფილებით გაიძახოდა:

„ვამბობდი და კიდევ მისრულდება... რაო? მე ბოლშევი-
კი?! არასოდეს! პირაქეთ: ყველას ვაფრთხილებდი, რომ მათი
საქმიდან არაფერი გამოვიდოდა.

* * *

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ, სასურსა-
თო ბარათების გაუქმებამ, საფრანგეთ — საბჭოთა კავშირის სამ-



თეორეტიკული (ფრანკო): — 1919 წელს ჩვენ პეტროგრადს მივუახლოვდით, მაგრამ ისეთი შემოგვიტყვეს, რომ... ვეჭვობ, თქვენც ასე არ მოგივიდეთ მადრიდთან... ამიტომ ჯერ ნადრევია თქვენი სიხარული!

საჯგევანოს კოოპერატივის ნოქარმა აღსვტიარიძემ გაპყიდა ძებუთე... ცალი სახელმძღვანელო, რომელთა ღირებულება თანახმად აღნიშნული ფურსის შეყიდვებდა 243 მან. 75 კაპ.
სახელმძღვანელოების გაყიდვის შემდეგ სალოროში აღმოჩნდა სახელმძღვანელოებიდან შემოსული 312 მან. 50 კაპ.
ამოცანა გვეკითხება: რამდენი გაქაფა ხოქარმა ყველა სახელმძღვანელოზე საერთოდ და თვითეულ წიგნზე—ცალკე.

ამოცანის გამოყვანა: 125 წიგნის ღირებულება 243 მან. 75 კაპ. ეს თანხა უნდა გამოკაკლოთ ზედმეტ ფასებში გაყიდულ თანხას 312 მან. 50 კაპ. დარჩება წმინდა მოგება 125 წიგნზე 63 მან. 75 კაპ. ხოლო თითოეულ წიგნზე—55 კაპ.

პაპიროსი „გამოცანა“

კვებითი მრეწველობის სახ. კომისარიატის „გლავტაბაკის“ ტფილისის პაპიროსის ქარხანა რამდენიმე წელიწადია ერთ საშუალო ხარისხის პაპიროსს უშვებს. ამ პაპიროსს სახელად „საქართველო“ ეწოდება და კოლოფზე ჩიქორთული ქართულით ასეთი წარწერა აქვს:

„აღნიშნულ ფასზედ მებად გალიდგა ისჯება კანონით“

აღბად ამ წარწერის ბრალია, რომ ეს პაპიროსი 1 მან. და 30 კაპ. ღირს და ინშრომას ყველა წერტილში 1 მან. და 40 კაპ. იყიდება. ზედმეტ ფასში გაყიდვაც „არაფერია, რომ პაპიროსის კოლოფზე ასეთი წარწერა არ აკლდეს: „პაპიროსი“ „გამოცანა“ და: „საბანსუხისმგებლო სანქმის უპასუხისმგებლო ხლასზე მიდნობა აქხარულია“.

ამხ. ნიანგო!

ჩვენ ქართველნი ცნობილნი ვართ სტუმარ-მოყვარეობით, ხოდა, მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის სასადილოს გამგე ბიჭიკო აბაშიძეც პირნათლად იცავს ამ მშვენიერ ჩვეულებას.

— ჯერ სტუმრებს მიართვით ჩაი, ხომ ხედავთ ჩაის ჭიქები ცოტა გვაქვს, ჩვენებმა რომ ცოტა მოიცადონ არაფერია... ამბობს იგი.

ვრჩებით უჩაიოდ. გვეკითხებით ამხ. ნიანგო: ნუ თუ ასე დეფიციტური გახდა საბჭოთა კავშირში ორ აბაზიანი ჩაის ჭიქები, რომ ღირექტორს ვერ მოუხერხებია მისი მომარაგება?

ქარხნელი

ხედრო შეთანხმებამ, სტახანოურმა მოძრაობამ და მეორე ხუთწლიდის წარმატებით მშენებლობამ ისევ შეცვალეს კაპიტონის ლექსიკონი.

— მე მუდამ მახარებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წარმატებები, წითელი დროშა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით ჩვენი გმირული მუშათა კლასის ხელში არასოდეს არ დაიხრება — ეუბნებოდა ის ამ ექვსიოდე თვის წინად სამეცნიერო კონგრესზე საბჭოთა კავშირიდან პარიზში ჩასულ ბოლშევიკ დელეგატებს.

ესპანეთის სახალხო ფრონტის გამარჯვების შემდეგ მადრიდში მიმავალი კაპიტონი მატარებელში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ ძველი ხელიუფლებების ჟანდარმერიის კაპიტანს ეუბნებოდა:

— ჩვენ ვერაფერი შეგვაფერხებს. მომავალი ყველგან ჩვე-

ნია ჩვენ გავიმარჯვებთ თქვენს ქაეყანაში და ჩვენი წითელი დროშა ყველგან გაიმარჯვებს.

დღეს კაპიტონი მადრიდის ერთ-ერთ კაფეში სხვა ფორმაში გადაცმულ იმავე ჟანდარმერიის კაპიტანთან ერთად მიზნელებულ კუთხეში მდგომ მაგიდასთან ზის და ხზადაბლა ჩურჩილებს: — მეც გაიგე... ჩვენს ფრანკოს ახალი ტანკები მიუღია ბერლინიდან... თვრამეტ კილომეტრზე არიან... არხენინად იყავი... მალე შემოვლენ ჩვენებში...

მე მჯერა, რომ მოკლე ხანში, როდესაც ესპანეთის გამარჯვებული მშრომელი ხალხი ნამდვილ ოქტომბრის დროშას ააფრიალებს, კაპიტონი ტრიბუნაზე ასვლას მოინდომებს, რომ გულზე ხელი მაგრად დაირტყას და ხმა მაღლა შესძახოს: — ამხანაგებო! ჩვენ გავიმარჯვით!

ჩიგოლუბო.

პოლიკარამ კაკაბაძე

კარლო კალამი

პოლიკარამ ყოველ დღით ჩვენს სასახლის ბაღში მჯდარი, — ცას შეჭურვებს და აბოლვებს მუდამ რეტორიკზე მწერალი —

ერთელ დასო ვერცხლის კვერცხი, შემდეგ აღარ მოიჭრება! არ გსმინიათ? საჯაროდ ლუბაბურის მსგავსად უთქვამს:

დაესწერ შარა, ვინდა დასდამს უიღას შესწევს ამის ძალი პიტებს სწფის ვეფლა ჩემი მეგობარი და აბდალი — ასოუნა არის, იმით, რიცხვი სრ ჩასწერით ჩემი თავი...

1. გომბასტერის ხმა ისმის წვიმაში, დეკემბრის მთვარის შუკაში შევხვდი მე თავი მაშინ ვიგრძინე წერაში ბიულოზების საქაობის გვერდით...

2. ზღვის პირად იყო უხრბო გოგო ცხადზე ცხადია, რომ ბოტიკ აქვე! ნეტო ეს გოგო რა გვარის იყო, ან ვინღა მეტყვის მის მამის სახელს.

იწყობ იყო ის ღანბირიდან, ან და კულაშის თუ იყო მკვიდრი! არც შემოუხვდა — იყო წაიღია; მას ჩიქოვნაშა თუ უთხრა ძვირი — მაგინა კიდევ, ისიც იმდენი... თორემ მიცნობდა მე ღანბირელი?

ერთი გოჭის ამბავი.

უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ცნობების თანახმად, ინგლისის ხელისუფლებამ გააკეთა კუნძულ მალტის კონსტიტუცია.



1980 წ. კონსტიტუცია ხელ გაუქმეს

ნიანგის

მწამას ანდრეი. — დაიბრება, რომელიც ცნობილ რწუმას ანდრეის მსგავსად არივსან არ სრულდება. (იხ. ტროლიბუსი).

პანბაბაუკი. — ზოგიერთი ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციების განმარტებით ივენების ასალი ჯიშია. მისგან ადენენ ახალი ღვინის „ღვინოს“ შემდეგი სახელწოდებით: „ივენტოუს მარაჟის დამამზადებელი აკვირატუს“.

მთისაში. — ზოგიერთი ცნება. ჩვეულებრივ აღნიშნავს ადამიანს. თესავს, მაგრამ არ აღნიშნავს ახს, თუ რა თესავს საუბრის ობიექტი. თესეთ კი ბევრი რამ ითესება. შავ. ითესებიან პროკურატორის წევრები, როდესაც ატყობენ, რომ ადვოკატი კრებს იმ მიზნით, იწვევს, რომ გააკეთოს გრეკლი მოხსენება, თებაზე: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სინელება“; ითესება „ბუბა“, მთლიან, ან ინქისტორი ხელფასის დარღვევის დროს. ითესება წერილები ფოსტის დამტარებლის ენაში, ითესება დრო, როდესაც რომელიმე დაწესებულების თანამშრომელი ქალი შეკითხვაზე პასუხის გაცემის ნაცვლად რედაქციის სარეკმი იჭირებდა; ითესება ფული, როდესაც ქართველ ტრავმის ლიანდაგს აკებენ და არ თვალისწინებენ, რომ ორი კვირის შემდეგ ისევ უნდა აყარონ. ითესებიან საბარაზდებლო დასვენება, როდესაც საშუალო ზოგიერთ პროკურორის მამბიჭების სა-

მალტის კონსტიტუციის შესახებ არსებული ინფორმაციები უცნაურად დასაჯანჯალად გამოიყურება. მისი დასაჯანჯალად გამოყენება მხოლოდ მისი დასაჯანჯალად გამოიყურება.

მოწყენილია პრინცესა ბული ივანას აბამოვ ოპტიმოს. შარას. მარგამ მის ხელის სათმობად — საშპროდ არაბინ მოდის, არაბინ არ ჩანს.

საშპო გაუჩინა პარლამენტს დილი, უნდა უშომოს პრინცესას შპარი და საშპროს ბულის დასაბამებავალად წაგალიც ნახა მან უშპარი.

ეკებენ სიძეს, თვალის სინათლეს, მითითეს უშპოზან... მოდით, თვალითო, თუ პრინცესას ბულს არ უშპარაღობთ, ბულდანი ბინე უშპარაღობთ.

მეღუპა.



1982 წ. კონსტიტუცია „ააღადინეს“

ლექსიკონი

წინააღმდეგოდ დგება. მოსაყვების დანახვა ჩვეულებრივ თვალით და ყოველთვის არც ისე ადვილია, რადგან ზემოდ ჩამოთვლილი თვისების მქონეები საერთოდ დაკარგული ხალხია.

ბროლიზუსი. — ერთგვარი სახის ტრანსპორტი, ავტობუსის მსგავსი; დღის ელექტროენერჯითი ანაზნად ტვილისის საბჭოს სტრანსპორტი სექციის მიერ მოწოდებულ და ტვილისის პრესაში გამოქვეყნებულ ქრონიკას. უცვლ მიმართებს ტვილისის ქუჩებში სტრეტების პირველ რიცხვებთან (იხ. ანდრეის ანდრეი“ მკვე ლექსიკონის დასაწყისში).

ჯილოდ ანუ პრემია. — საშუალო, რამე საქმის კარგად შესრულებისათვის, გამოგონებისათვის ან დამსახურებისათვის. ჯილოდს გაცემა არის აგრეთვე ზელდტერიაში გაცემულ ფულს გატარების ხერხი, რასაც „ქოიპუს მამ ბიუტრუს“ და „შენც ვაზე და შეც მაქმუს“ ხასითი აქვს. მაკვლითად; პეტრემ ქსანის ქარხნიდან გამოუგზავნა პავლეს ტვილისში ერთი ვაგონი ქოთნით. პეტრე ლეზელის პავლესთან ვაგონის 1500 მანეთს „ვაგონის ქოთნითი სასწავლო დატვირთვისათვის“ და პავლეს ლეზელის პეტრესთან ვაგონის 1500 მანეთს „ქოთნითი ვაგონის სასწავლო დატვირთვისათვის“.



1986 წ. კონსტიტუცია ისევ გააუქმეს.

1981 წ. პრინციების ხელისუფლებამ მალტას მისცა კონსტიტუცია. უჩინავი ხელისუფლება მამონაც კუნძულზე ინგლისის მიერ დანიშნულ გუბერნატორის ხელში იყო.



ამასწინად ტფილის ქალაქში ჩამოვედი, ცოლიც თან მხალდა. გამაკვირვა ქალაქის ახალმა გარეგნობამ მაგრამ უფრო საკვირველი საქმე უკან დაბრუნებისას შემხვდა. რავაც იქნა შევედი ვაგონში. ჩემი თავი გალიცინის ოთახში შევლან, ისე იყო მოთულ-მოკაზმული. „აბრაზოვი პოეზილია“ — მითხრეს. ამ დროს მომესმა ხმა: სილიბისტრო, შენ ხარო კაცო? მე ვსთქვი ვინაა აგი? გევიხედე ჩვენებური მორჩილაძე ყოფილა, „კაცო, მატარებლის გასვლას ნახევარი საათი უკლიაო, გევიართო სადგურისაკენ, თითო ჭიქა ღვინო გადაკრათო, „წვივდეთ ჩემო კალისტრატე-მეთქი“ და გავაფრთხილე რა ჩემი აგრაფინა, გევიართო სადგურისაკენ, მატარებელს მე თქვენ გეტყვით სადგურის წინ დაგიყენებენ, მოშორებულია, რავარც იალბუზი, ყახბეგს. რავარც იქნა შევედით ბუფეტში. დავსხედით და შევუღდექით, მივაყოლეთ კახური ღვინო სულ დავგავიწყდა მატარებელი... ერთმანეთს ვამშვიდებდით, „ადრეა, მოვასწრებთო“, და მატარებელმა ამასობაში გავგასწრო. გავედი პლატფორმაზე, მატარებელს კული უჩანდა. გემევეკიდეთ მარა, გაგიგონია, მოასწრობ თუ? წვივდა ჩემი აგრაფინა მარტოკა. მივრბივარ და რავა მივრბივარ... შემეჩერა ჩვენმა კალისტრატემ, „რა მეშველებს?... ჩემ აგრაფინას მარტოკა არასოდეს არ უმოგზაურია და მერე ბილეთებიც მე მაქვს-მეთქი“.

— შე კაცო რას დაღონებულხარ? შენ აგრაფინაზე ადრე ჩახვალ ზესტაფონშიო. — დამამშვიდა კალისტრატემ „კაი, ბეჩა, რეიზა მასხრობ-მეთქი. თუ ვმასხრობ წამოდი და ნახავო. წამავლო ხელი და წამიყვანა. გევედით ჰაეროდრომზე მოვაჯდეთ ჰეროპლანს და ერთ საათში ფტეკას მოვადენთ ზესტაფონშიო“. ჰაერისპლანის ხსენებაზე გული კინალამ მუცელში ჩამივარდა შიშისაგან. წამოვიწყე: შენ წადი ჩემო კალისტრატე და ეს ბილეთი... მარა ვინ დამაცადა სიტყვის დასრულება? ერთ წამში კალისტრატემ თავი მიკრა ჰაერისპლანში და თვითონაც უკან ჩამოჯდა.

დევირიალა წინა ფრთებმა, „ბუო“ და უცბათ ავფრინდი. ერთი დევიბლავლე „ვიიმე, ჩემო, აგრაფინა, სად ვილუბები-მეთქი და... — გავფრინდი. შიშით კინალამ გედვირე. ჩემ ბლავილს ვინ აქცევდა ყურადღებას. ჩემი თავი სიზმარში მეგონა. ძირს რომ ჩევიხედე სახლები პრიჭკის კალოფებივით მეჩვენებოდნენ. დევიწერე პირჯვარი. ჩავაბარე ჩემი სული წმინდა გიორგის და დავხუტე თვალები. ვიფიქრე ვკვდები-მეთქი.

„უახლოვდებით ზესტაფონსო“ — გამომიჩინა ჩემმა ჯალათმა კალისტრატემ, „მაგრათ იყავიო“. უცბად ჰაერისპლანი გადატრიალდა... შევბლავლე მაქავარიანის ლორივით. მარა დამამშვიდეს ეს „მორტივი პეტრეაო“. ზესტაფონში რო ჩავიყვანა, ამ შეჩვენებულმა, დევიძახე: — „კალისტრატე მიჩქმიტე თუ კაცი ხარ მიჩქმიტე-მეთქი.“

— „რეიზა დაგვირდა ამ ზესტაფონში ჩქმეტა? — მითხრა მან.

— სიზმარში ხომ არა ვარ კაცო, სიზმარში? — სიზმარში კი არა ცხადია, წამოდი სადგურზე აგრაფინას დოვუხდეთ, თვარა დაპატიმრებენ, თუმცა მოცდა ქე დავგვირდება ბევრიო.

გავსწიეთ სადგურისაკენ, მარა კალისტრა-

ტესგან მოშორებით მივდიოდი, უცბად ახალი ფოკუსი არ მომიწყოს-მეთქი. კაიხანს ვუცადეთ მატარებელს, რავარც იქნა მევიდა. მარა რა გინდა რომ ქნა? მე ქე დამავიწყდა რომ ვადმოვფრინდი ამ ტფილისიდან და ღმრთობა შევეგებე ჩემ აგრაფინას.

აგრაფინამ რავარც დამინახა ვაგონიდან ერთი იყვირა: უიო! და ფეხები ვატყვარაშა. გულწასული ჩემეყვანეს, ათასი ხალხი დეიხვია... —

ლოთი ქარის მოგზაურობა

შუა დაბაში მდინარე ჩამოდის. იგი ისე პატარაა, რომ კაცს შიგ თავის დახრჩობა ძალიან გაუჭირდება: დიდი ცდა და ვაყვაცობაა საჭირო, რომ მიზანს მიაღწიო. სწორედ ამიტომაც არავის განუზრახავს მდინარეში თავის დახრჩობა.

მხოლოდ ერთი შემთხვევა იყო. ერთ სამოცი წლის კაცს ცოლმა უღალატა თურმე. შეურაცყოფილმა კაცმა ვერ აიტანა ცოლის ლალატი და თავის დახრჩობის მიზნით გადაეშვა მდინარეში. წინასწარ იცოდა, რომ წყალი ვერ მოერეოდა. ამიტომ ქვა ჩამოიკიდა წელზე, რომ მის სიმძიმეს წყალში ჩაეძირა. მიუხედავად ასეთი წინასწარი და ჭკუადახედული ზომების მიღებისა, მან სურვილი მანც ვერ შეისრულა, როცა წყალში გაუჭირდა სუნთქვა, თავი ზევით ამოჰყო, შემდეგ ისევ ჩაჰყო თავი წყალში თავის დახრჩობის მიზნით. მაგრამ ისევ გაუჭირდა სუნთქვა და ისევ ზევით ამოჰყო. ასე ბევრჯერ სცადა, მაგრამ ერთხელაც არ დაიხრჩო. ბოლოს გაიფიქრა:

— რა ხეირია ამ დახრჩობაში? თუნდაც თავი დავიხრჩო. მერე? ამით რას დავაკლებ ჩემს მოღალატე ცოლსა და მის საყვარელს. ცოლი ჩემზე ხუთი წლით უფროსია, მისი საყვარელი კი — ათი წლით უფროსია. ღმერთი სამართლიანია. ისინი ჩემზე წინ დაიხრცებიან. მე კიდევ ვიცოცხლებ და სხვა ქალს შევეყვარებ! — ამ ფიქრებში იყო იგი, რომ მეზობელმა გამოიარა.

— კაცო, მანდ რას შვრები შენ? — ვთევზაობ! — მიუგო მან. — მერე და ტანზე ვერ გაიხადე? — შემეცივდებოდა! — იცრუა მან, წელში მიბმული ქვა წყალში ჩუმად შემოიძრო და ნაპირზე გამოვიდა!

ჰო, აი, ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ვინმეს თავის დახრჩობა განეზრახოს მდინარეში.

აი ამ მდინარის ახლოს ცხოვრობს მევარკაცი ბენცელოძე. მოველმხრივ კარგა კაცია იგი, მაგრამ ლოთია. ხოლო რაკი ლოთია, მის კაი კაცობასაც ყველა მიხვდება.

რა ხერხს არ მიმართა ცოლმა, მაგრამ ვერაფერს ვახდა, ვაყრაც კი დააპირა, მაგრამ შეეცოდა — სულ დაილუბებო.

— მევარკაცი, — უთხრა ცოლმა ერთ საღამოს, ქმარს, როცა ეს უკანასკნელი ჩვეულებისამებრ მთვრალი დაბრუნდა შინ. — აი, ამ ბავშვს გეფიცები, შენ რომ აწი დამთვრალი მოხვიდე შინ, ამ ბავშვს წყალში გადავავლებ!

— ქალო, ვაგიყდი?! — აი, ნახავ თუ არ შევასრულო ჩემი სიტყვა? — დამუქრა ცოლი... — დედაშენი ვაგიყდა თუ იცი? — შეეკითხა მევარკაცი ათი წლის ვაგონას, რო-

თვალი რავარც იქნა გაახილა, მარა აღარ მიმიკარა, სულ ყვიროდა; „მოჩვენებაა ბეჩა, მოჩვენებაა, არ მომაკაროთო“, — ჩემს სილიბისტრო ტფილისში დამრჩაო. — ლოთი თქვა ახლა პატივცემულო საზოგადოება, მომეშველეთ, დააჯერეთ ჩემი აგრაფინა, რომ მე მოჩვენება კი არა ვარ, მისი ქმარი ვარ. მე სილიბისტრო სირბილაძე, ტფილისიდან ზესტაფონში ეროპლანით ვადმოვფრინილი ჩიტო.

მელსაც შეშინებოდა დედის სიტყვებისა.

— შესძლებელია ვაგიყებულები ვიყო, მაგრამ დაიხსომე, რომ თუ მთვრალი მოდი, შევასრულებ ჩემს სიტყვას.

— ბავშვს რას ერჩი? — ალბათ შენისთანა ლოთი გამოვა შენი შვილიც და როგორც შენ მიშხამავ სიცოცხლეს, ისე მიუშხამავს იცხლეს თავის ცოლშვილს.

— კარგი, სულელობას თავი დაანებე და მეც დავანებებ თავს ღვინის სმას! — თქვა მევარკაცმა, რომელსაც საკმაოდ შეეშინდა, რადგან ცოლი მისი მტკიცე ქალი იყო და სიტყვის შემსრულებელი.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ მეორე დღეს მევარკაცმა სცადა თავის შეკავება დაღვეისაგან და უარი უთხრა ამხანაგებს:

— არა, ამხანაგებო, მე ვერ წამოივალ დასაღვეად.

— კარგი რაღა, ნუ ინაზები!

— მართალს გეუბნები. მე გადავწყვიტე მტკიცედაც.

— თუ კი მართალს ამბობ, ჩვენ მოგესალმებით.

— მართალს ვამბობ და გირჩევთ, ამხანაგებო, თქვენც დაანებოთ თავი.

— ვინც არ მოგბადოს ამ საქმეში. შეირცხვეს! — თქვა ერთმა.

— შერცხვეს! — დაუდასტურეს სხვებმა.

— მოდი, ამხანაგებო და ამ შემთხვევის ე. ი. ჩვენს მიერ თრობისათვის თავის დახეების აღსანიშნავად ერთმანეთს გადავუხადოთ პატარა მაყარიჩი, ეს იქნება მიცემული სიტყვის ბეჭედიც და პირობის ფიციც. აგრეთვე ეს იქნება ერთგვარი დალოცვა ჩვენი კეთილი განზრახვისა.

ამხანაგებმა ერთმანეთს გადახედეს. ყველას დაუჯდა ჭკუაში ეს წინადადება. ხოლო მევარკაცმა დააპირა საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა, მაგრამ მას ხელი გაუყარეს ხელში და თქმაც ვეღარ მოასწრო, იქვე ჩაიყვანეს სარდაფში.

— ამხანაგებო, ვიჩქაროთ, თორემ ისევ ძველებურად მოგვივა! აფრთხილებდა ამხანაგებს მევარკაცი, რომელიც ცდილობდა მალე გათავებულყოფა მაყარიჩი და შინ მისვლა არ დაეგვიანებია.

აჩქარებულმა სმამ მალე დაათრო მეგობრები.

მევარკაცი ძალიან ცდილობდა, რომ ცოლს არ შეემჩნია, მაგრამ მისი ზიგზაგი სიარული, მოწყვეტილი ხელები და ჩაქინდრული თავი ამხელდნენ მის მდგომარეობას.

— ისევ მთვრალი მოდი. მაშ შენ არც ეს ჩვენი პატარა შვილი გყვარებია! — უთხრა ცოლმა ქმარს და მდინარისაკენ გაიქცა.


— ქალო, არ ვადირო! — შესძახა მევარ-



სანიუმო მღვთაარება.



— სახლის აშენება გსურთ? სამწუხაროდ ჩვენ ვვაჭრობთ მხოლოდ სახლის სანგრევი მანქანებით.



— იტალიელები — რამოდენიმე ნაბიჯითარაიან ნიციდან დაშორებულნი; გერმანელები — სტრასბურგიდან ოთხ კილომეტრზე არაიან; ესპანელი ფაშისტები — ხენდეიდან ორ ნაბიჯზე არაიან, საერთოდ საფრანგეთს შეუძლია მშვიდად იყოს.

რუსული იუმორი

მღვთაარება

თავისებურად გაიგო



— თავისუფალი ხართ?..
— დიახ, ორი დღეა რაც გამსახლიდან გამთავისუფლეს. ავტომატულიგნობისათვის ვიჯექი.

ამის გული



— რას ნიშნავს მამის გული?...
— ჰო, აღიმენტის გადახდა მიუხაჯეს.

კაცმა და გამოედევნა ცოლს. ცოლმა შეხვეული წყალში გადააგდო და ქმარს უთხრა: — ერთი შენისთანა შომავალი ლოთი მოაკლდა ქვეყანას.

— შეილი დაახრჩო! — იყვირა მევარკაციმ და მდინარეში გადაეშვა. ამ სმაურზე მეზობლები ფეხზე დადგნენ.

მევარკაცის ცოლი იდგა მდინარის ნაპირას და უცქერდა ქმარს, რომელიც ცურვით მისდევდა თეთრეულში შეხვეულს. ეტყობოდა თეთრეულში შეხვეული არსება თითონაც ცდილობდა თავის გადარჩენას, მაგრამ შეკრული იყო და ვერ ახერხებდა. ხან ცურვით, ხან ფეხდაფეხ მისდევდა მევარკაცი; მაგრამ სიმთვრალე ძალიან უშლიდა ხელს დასწვოდა და გადაერჩინა მსხვერპლი.

ქალი იღიმებოდა. მეზობლებს უკვირდათ: — ჭკუიდან შეიშალა საწყალი!

— აბა რა მოუვიდოდა. შეილი გადააგდო წყალში დასახრჩობად.

მევარკაცი დაეწია მსხვერპლს, ჩაიკრა უბეში, ნაპირზე გამოიყვანა საჩქაროდ გახსნა და გულში ჩაიკრა ტირილით:

— შეილო, ჩემო შეილიკო, ცოცხალი თუ ხარ?

— მიაუ! — დაიკნავლა კატამ და თათები ისე მაგრად ჩამოუსვა ლოყებზე მევარკაცს, რომ გაკაწრა.

მევარკაცმა კატა ხელიდან გააგდო,

— ბავშვი კი არა, კატა შეუხვევია, როგორ მომატყუა ცოლმა. ვენაცვალე მას.

მეზობლებიც იცინოდნენ (ისინი მხოლოდ ახლა მიხვდნენ ქალის ოინს). მევარკაცის ათი წლის გოგონას პატარა ძმა დედასთან მოეყვანა. ბავშვი ხედავდა, რომ მამას წყალი ჩამოსდიოდა და იცინოდა. მაგრამ ყველაზე უფრო აცინებდა კატა, რომელიც ტანიდან წყალს იბერტყდა.

— ფისო, ჩემო ფისო! — იცინოდა იგი და კატისაკენ ილტვოდა.

— ყოჩაღ, ქალო, აწი შენ თუ მე მთვრალი მნახო, თვალეში ჩამაფურთხე! — უთხრა მევარკაცმა ცოლს და ჩაეხვია.

მართლაც მევარკაცი ბენცელაძე ამის შემდეგ არავის უნახავს მთვრალი. —

ი. ხ.

— ვინ არის თქვენთან საუკეთესო სტახანოველი?

— როგორ თუ ვინ? რასაკვირველია მღებავი რეპკინი. ჩვენ მოვინახულეთ მღებავი რეპკინი. იგი შევისწარით გაცხარებულ მუშაობის დროს.

— ბელილა! — ყვიროდა რეპკინი. — მემეცით ამ წუთში ბელილა!..

მთელი სახელოსნო იყო მოფენილი ამბრებით. რეპკინის სამუშაო საკმაოდ რთული იყო. აბრებს, რომლებზედაც ეწერა „დასასვენებელი სახლი“, „სასადილო“, რეპკინი უმატებდა სიტყვას: „სტახანოველი“.

— ბელილა!.. — წამოიყვირა რეპკინმა და მოგვმართა ჩვენ. — ამ ხალხმა პირდაპირ თავბრუ დამახვია ამდენი სამუშაოთი. უწინ ასე ვთქვათ, ერთ აბრას ვაკეთებდი დღეში.

ახლა კი დღეში თვრამეტ აბრამდე ვასწორებ. როგორ? სწვაგვარად არ შეიძლება. ვჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონ ხალხი თხოულობს, რომ ჩქარა გავაკეთო და მეორეც, ჩემი თითებიც გაიწაფა ამ სამუშაოსთვის. და ბელილაც რასაკვირველია თვითონ მოაქვთ სამუშაო მაგიდასთან. სწვა გვარად ვერ მოვასწოვბდი მკი ძილშიც მესიზმრება, რომ თითქოს თვრამეტ აბრის შესწორებას მოვასწოვბ.

— თქვენ ხომ არ იცით. — გულუბრყვილოდ ვკითხვით ჩვენ — იმათ ვინც აბრებს გაცვლევინებს, ამ აბრების უკან შესცვალეს თუ არა ის სახლებიც და სასადილოებიც?

— ეხ, მოქალაქენო!.. წარმოსთქვა რეპკინმა, — თქვენ ზამთარში ერთ ქუდს ატარებდით, ახლა ზაფხულში კი მგორე დაიხურეთ, როგორ? თქვენი თავი ახალი ვახდა? გამოიცვალა?

კარებში იდგნენ ახალი შემკვეთელები ძველი აბრებით.

— ვიმედოვნებ, რომ დღეში ოც აბრამდე შევაკეთო... ხედავთ: ამდენი ხალხისგან დაბნელდა კიდევ... — ბელილა!..

ვ. ტობოლიაკოვი.



„ფაქტობრივი“ სამართალი

გერმანიაში, როგორც ფაშისტური გაზეთებიდანაც მოგეხსენებათ, შიმშილობა სრულიებით არაა ფაშისტებისათვის, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ მოსახლეობას, ესე იგი, მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს, ინჟინრებს, სწავლულებს, მეცნიერებს, მოსწავლეებს და სხვებს, ანუ მთელ მოსახლეობას, გარდა ფაშისტური ხროვისა, ისინი იოლად გადიან პიტლერ-ჰერინგ-ჰისის რეცეპტებით.

ჩვენს პატრივტემულ მკითხველებს, როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რეცეპტი თავის დღეში არ უჭამიათ, მაგრამ იქ, ფაშისტურ ქვეყნებში რეცეპტი საუკეთესო კერძად ითვლება.

აი, მაგალითად, ჰესმა — პიტლერის მოადგილემ, ფაშისტური პარტიის ხელმძღვანელობაში, 12 ოქტომბერს ქ. გოფში (ბავარია) ასეთი რეცეპტი შეადგინა:

„ტანკი, თვითმფრინავი და ქვემეხი — ერბო-კარაქის ნაცვლად“.

ასე, რომ ბერლინის რესტორანში მოსადილეს თამამად შეუძლია მოითხოვოს:

- შემწვით ერთი პორცია ყუმბარა!
- ერბოში მოხარშული ტანკი გაქვთ?
- ერბოში არა, ჰერ! იპრიტის სითხეში ვხრაკავთ!..

- იყოს, ოღონდ კარგად მოხრაკეთ!
- მეორე მოქალაქეს შეუძლია დაუკვეთოს:
- პირველი რა გაქვთ?
- პირველი? „ფანტაზია დანჯი“ ძალის წვენში.

- კარგია, მეორე?
- ყუმბარმუნის სუკი „ხიშტი ფრიტ“, ჩახობილი ტყვიამფრქვევი.
- დესერტი?
- ბაქტერიებია ჰერ? საცხინკვებელი გაზის კომპოტია...

თქვენ წარმოგიდგინათ: ასეთ რამეებს შეჩვეული კაცი შევიდეს ჩვენს კოოპერატიულ, საზვევების ან სხვა ორგანიზაციის სასადილოში! რაღა თქმა უნდა, კლიენტსა და

ოფიცინტს შორის დაახლოებით ისეთი საუბარი გაიმართება:

- წვნიანი გაქვთ?
- როგორ არა: სუფი, ბორში, ხარჩო...
- მოიტათ, მოიტათ ხარჩო რისია, ჯავშანოსი ხომ არა?
- არა, ჯავშანოსი არ ვახლავთ, ისეა, ჩვეულებრივი.

- ტანკი გაქვთ?
- როგორ არა, ჩვენ იძულებული და ვალდებულიც ვართ ტანკები დავამზადოთ, ვინაიდან ჩვენს ქვეყანას დაცვა უნდა.

- კლიენტი ვაკვირვებულობა.
- მომიტანეთ ერთი პორცია!
- ოფიცინტი იღიმება ამ ხუმრობაზე.
- პორციობით არ ვყიდით!
- ყუმბარები ხომ გაქვთ?
- რამდენიც გნებავთ!
- ბომბშიდავი თვითმფრინავები? გამანადგურებლები?
- იცოცხლეთ, ეგ იყოს.
- ქვემეხები?
- რაღა თქმა უნდა!
- აირწინალები?
- საჭიროზე მეტიც!

კლიენტი (მოსადილე) კმაყოფილია. — მაშ მომიტანეთ აირწინადის სალათი, ტანკის პიურე, პარაშუტი ძმრით, ერთი ბოთლი იპრიტი და ერთი კარგი ყუმბარა მოახარშვინეთ მრგვლად... ბოლოს, ქვემეხის სუკი ამოაღებინეთ და შამფურზე შეაწვევინეთ!

ოფიცინტი ერთხანს განკვირვებით უცქერის კლიენტს, შემდეგ შეეკამათება და რაკი დარწმუნდება, რომ სტუმარი არ ხუმრობს, სასწრაფო დახმარების მანქანას ეძახის და კლიენტს საგიჟეთში გზავნის.

ჰესმა ასე მიმართა გერმანელ ქალებს იმავე 12 ოქტომბერს:

„თქვენზე, გერმანელი ქალებო, არის დამოკიდებული თქვენი ქმრების მამასადაამე—

გერმანიის მთელი ხალხის ძლიერი განწყობილება. დიასახლისის ხელფანება იმაში მდგომარეობს, რომ მან უხორცოდ, უკარაქოდ, უერბოდ და უკვერცხოდ მოამზადოს გემრიელი საჭმელი. გერმანელმა დიასახლისმა არ უნდა იდარღოს იმის გამო, რომ ბაზარზე მეოთხედი გირვანქა ღირის ხორციც კი არ იშოვება“.

საწყალი დიასახლისები, რა უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მათ ბ-ნი ჰესი: საჭმელს ხომ წყალში ხარშავენ და თუ არაფერი ჩაყარეს შიგ, რა უნდა გამოვიდეს, გარდა აღულებული წყალისა? თუმცა, მეორეს მხრით იქაური დიასახლისები ჩვენს დიასახლისებზე ვაცილებით მეტი „განცხრომით“ ცხოვრობენ: ბაზარში მათ არ უშვებენ ფაშისტურ მტყუარებს. სულერთია, გასაყიდი არაფერია. ეს ჩვენი ქალები კი, საწყალები ვალდებული არიან ბაზარშიც წავიდნენ, ხორცი, ერბო-კარაქი, ქათამი, კვერცხი და ათასგვარი სხვა სანოვავე იყიდონ. სახლში წამოიღონ, სამი-ოთხი ხელი საჭმელი გააკეთონ, ქმარ-შვილს აჭამონ. (თითონ ხომ უნდა სჭამონ და სჭამონ), სალამოს თეატრებში წავიდნენ, შემდეგ ისევ ვახშამი გამოიტანონ, დილით ისევ ისაუზმონ, სამუშაოზე წავიდნენ იქაც (ვისაც სურს) დასვენების საათებში მიირთვან, ხელფასი შინ წამოიღონ, იყიდონ, შეიკერონ, ჩაიცვან, დაიხურონ, როიალ-პატეფონები დაუკრან, პოლიტურში იარონ, ისწავლონ, ასწავლონ, იფრინონ, პარაშუტით გადმოხტნენ, იცეკვონ, იმღერონ, ვაროვილოველი მსროლელები გახდნენ, შვილები გააჩინონ, ამისთვის მთავრობის მიერ მიძღვნილი ათასების მიღებაზე ხელი აწერონ... ერთი სიტყვით, რა შედარებაა, ფაშისტური სახელმწიფოს ქალისა და ჩვენი ქალის მდგომარეობა? ქვემარტად, ჩვენები ვაცილებით მეტად არიან დატვირთულნი!

ალ. მალულარია.



ახალი საზოგადოებრივი წესი

სადგურ ავკალის ბუტეტზე და „ღვინოში დამხრჩვალთა დამხმარე საზოგადოება“. ამ საზოგადოებას ჯერ-ჯერობით არავენ გადაურჩენია ღვინით „დახრჩობისგან“.



სატრანსპორტო რეკორდი

ლიანდაგის დარგის მე-4 დისტანციის საქმეთა მმართველმა ქალმა ტოსია საბატოვამ დაამყარა ახალი რეკორდი: ერთ დღეს შეუსვენებლივ წაიკითხა თოთხმეტი სამიჯნური წერილი და მოსულ თანამშრომლებს გასცა თერთმეტი პასუხი: „არ მცალიანო“.



წუხავი.

ლიხის სადგურში არ არის სინათლე. გუშინ ღამით საქმეებში გართულმა სადგურის უფროსმა სიბნელეში თვალში თითი იტაკა და სინათლე დაეკარგა, მეისრეები ანუგეშებენ: „სულ ერთია, ამ სიბნელეში მაინც ვერაფერს ჰხედავდი და რა გენაღვლებათ“.



— უხვად მოგვეცა დოვლათი ჩვენი საქუთარ ურომისა, მახრობაც კარგი ვისწავლეთ ყუარო გვაქვს ფულის უოგნისა.

აყვავდა ჩვენი სოფლი არ გვშია, აღარ გვწყურია, ხარობს, ზიიმობს ეს ბული ცხორება საამურიანი!!

სპიტი! „საქმინწყალის“ ნყლევი სპიტი!



ტუტიანი ნახშირმჟავა წყალი „ბორჯომი“

ეპიდემიის რჩევით იხმარება:

განთავსებულია მსოფლიოში საფრანგეთის წყალი „პიში“ და „ბორჯომი“ ჩვენი არის მისი მოღვაწე, მისი ჯიშის.

ავადმყოფი თუ სვამს „ბორჯომს“ იკურნება, კარგად ხდება კარგადმყოფი თუ სვამს. მავნი ზოგი სენი არ უხმავდება.

კუჭ-ნაწლავის კატარა არჩენს; კვამატიზმსაც ჰქაფანავს იგი... იაფია, ყველგან არის, რ სპირ დება ჟრღვას ჩი ბი.

ფრიად გემრიელი და კარგი ჰიგიენური ნყალია.

1. სასუნთქი ორგანოების ქრონიკულ კატარის დროს;
2. კუჭის და ნაწლავების ქრონიკულ კატარის დროს;
3. თირკმლების ნაწველის და შარდის ორგანოების, ქრონიკულ რემატოზმას და სხვა სნეულებებს დროს.
4. ნივთიერებათა შეცვლის ყოველგვარ დარღვევისას (ნიკრისი, სისუქნი, მაქროთავადუყოფობა და სხვა). უკანასკნელი გამოკვლევიდან სჩანს, რომ ბორჯომის წყალში მუცელის აოის ემანაცია რაიც ამტკიცებს რომ მასში მუდამ მოიპოვება კვალი რადიუმის მარილებისა.



ჰიდრო-კაბონატული — და — ნატრიუმ-კალციუმიანი წყალი „საირმე“

იხარება ზემოთ დასაზღვრებათა წინადადება:

— ირამ მთას მყვირალს, რად ჩამოვარდი ბარადა?

— „საირმე წყალი“ ვიკოვება მე თქვენდა ბასახარადა.

წამოდით, იგი განახლოთ, წამოდით ჩემთან ჩამარად, დაავადება მრავალი ბიძციოს წყალმა აკარად.

1. თირკმელთა უსაღების, შაუდსაწვეთის და საშარდე ჰუბტანქრონიკული ანთების და ჰაგრეფე თირკმელების კენჭების დროს.
2. სანადეფე ბუშტის და საადეფე გზების ქრონიკული კატარის და ნადეფეების კენჭების შემთხვევაში.
3. კუჭისა და თირკმეტ-გოჯა ნაწლავის ქრონიკულ წყლულებებისას.
4. კუჭის ქრონიკატარის მეტადრე მისი დიდი მეაგინობის დროს.
5. ნაწლავების ქრონიკული კატარის, ლორწოვანი კოლიტებისა და ენტერო-კოლიტების დროს.

ნახშირმჟავა-მარილიან ტუტოვანი წყლების ტიპის

მინერალური საგურნ. სუფრის წყალი

„ძაუ-სუარი“

„ძაუ სუარი“ წარმატებით იყენებენ კუჭისა და ნაწლავების, თირკმელებისა, შარდგამოყოფიანი გზებისა და ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის, სისხლნაკლებობისა და სხვა დაავადებათა მკურნალობისას.

„ძაუ-სუარი“ საამერიკელი გემო აქვს და იხმარება აგრეთვე, როგორც სასმელი წყალი.



ჩამოთვლილ სენთა მაურნალოვ ს დროს საიხედობ და უტყუარი. მინც მართხელ ზმსა, ვერ დაივიწყებ მს გემრიელი „ძაუ-სუარი“.

ნატურალური, მინერალური წყალი

ფრიად გემრიელი, ჰიგიენური სასმელი

„ყაზბეგი“

კობის წყარო—ნარზანის ტიპის

ყაზბეგი მარტო რომია განთავსული თვის მფარველითა! ამაყობს ისიც ამაჟი იგი ნარზანის წყალითა.



ბოთლები შეინახეთ გნელ აღგილას, გრილად და დანოლილი.

„საქმინწყალის“ სამმართველო მოთავსებულია—ერიბოელოვის ქ. № 18.

რა ღირს გენაცვალე?

ამხანაგო ნიანგო!



ამხ. ნიანგო, დამეთანხმებით, რომ მეტყველებაში სიტყვა „გენაცვალეს“ განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი არ არის უბრალო სააღერსო სიტყვა, როგორც ეს დაუფიქრებელ და გულუბრყვილო მოქალაქეს ეჩვენება, გენაცვალე ღრმა შინაარსის გამომხატველი სიტყვაა. პირდაპირი მნიშვნელობით, იგი გამოხატავს მზად ყოფნას თავის გასაწირავად მის სანაცვლოდ, ვისაც ამ სიტყვის გამომთქმელი მიმართავს. ამ სიტყვას ჩვენში დიდად აფასებენ, მაგრამ ბოლო დროს ზოგიერთი პირები ამ სიტყვას „აპუსტიკებენ“. რუსთაველის პროსპექტზე წითელი არმიის სახლის ზემოდ მოთავსებულ სასაუზმოს თანამშრომლები ამ სიტყვას ექვს-შვიდ შაურზე მეტად არ აფასებენ. აქ ადგილი ჭონდა ასეთ შეშთხვეყას: შევედი სასაუზმეში, ვისაუზმე და შემდეგ გვეკითხები პომტანს ქალს:

— რა გერგებათ, ამხანაგო?
 — ორი მანეთი და ცამეტი შაური, გენაცვალე!
 მივეცი სამი მანეთიანი.
 ვუცადე ხურდას, მაგრამ აღარ დამიბრუნა. ცხადია მომტანმა საუზმე მართლაც ორი მანეთად და ცამეტი შაურად იანგარიშა, შვიდი შაური კი „საუზმის დესერტში“ ესე იგი „გენაცვალეში“ წაიღო. მე გამოვივინა, რომ ასე იაფად ყიდიან აქ „გენაცვალეს“.

მეორე დღეს იმავე სასაუზმეში ფეხებმა წამძლია (და არა წინა დღით შვიდ შაურად ნაყიდმა „გენაცვალემ“). ისევ შევედი იმავე სასაუზმეში.

— რა გერგებათ?— შევეკითხე მომტანს საუზმის შემდეგ.
 — ორი მანეთი და თოთხმეტი შაური, გენაცვალე!
 მივეცი სამი მანეთი.
 მეგონა, რომ ექვს შაურს ხურდას დააბრუნებდა და „გენაცვალეს“ ასე მცირე ფასად გაყიდვას აღარ იკადრებდა. მაგრამ ამაოდ, ახლოსაც აღარ წამკარებია. აშკარაა, რომ 30 კაპ. ხურდის ნაცვლად სიტყვს „გენაცვალე“ მომცა და ანგარიში გასწორებულად ჩასთვალა.

შეტად იაფია.
 რკინისგზის სადგურის მოღარეები ასეთ საქმეს არასოდეს არ კადრულობენ და „გენაცვალეს“ ასე იაფად არასოდეს არ ყიდიან შაურზე „გენაცვალეს“ თქმას კი არა, გამოხედვასაც არ კადრულობენ. გენაცვალე აქ უფრო მსხვილ „ბუჩუყებში“ იყიდება, მორეულ მანძილზე მიმავალ მგზავრებზე, განსაკუთრებით რბილი ვაგონის ბილეთის შეძენის დროს. მაგალითად მიღისართ რკ. გზის სადგურზე და ეკითხებით:

— რა ღირს რბილი ვაგონის ბილეთი კვლასაურამდე?
 — ექვს თუმნამდე ჯდება, „გენაცვალე“!
 — გექნებათ?
 — შეიძლება დარჩეს. მოდიოთ მატარებლის გასვლის წინ.
 თქვენც ნერვიულობთ, უცდით მატარებლის გასვლის მოახლოვებას;
 მიღისართ მოღარესთან და გეუბნება:
 — უჩქარეთ! ექვსი თუმანი, გენაცვალე! და რამდენიმე „ბუჩუყი“ მანეთები „გენაცვალეს“ ანგარიშში მოღარის ჯიბეში რჩება.
 შენ მაინც გაგვირკევე, ამხ. ნიანგო, რა ღირს გენაცვალე?
 ვალ-დანია


ამხანაგო ნიანგო!
 უკვე ოთხი წელია შესრულებული მას შემდეგ, რაც ქართული დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის რედაქციამ გამოაქვეყნა ფრიად სასიხარულო ცნობა: „უახლოეს ხანში გამოვა რუსულ-ქართული ლექსიკონი და ქართული დიდი ენციკლოპედიის პირველი ტომი“. ამ ამბავს დიდი სიხარულით გამოეხმაურენ ქართული გაზეთები და მოათავსეს ეს სასიხარულო ცნობა. ხოლო ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სავსეა გაზეთები შემდეგი ინფორმაციით: „წარმატებით მიმდინარეობს რუსულ-ქართული ლექსიკონისა და ქართული ენციკლოპედიის ბეჭდვა და უახლოეს ხანში

გამოვა ბაზარზე“. ამხანაგო ნიანგო, გთხოვთ გვიპასუხოთ როდისაა ეს უკანასკნელი ცნობა კორექტული?
 ამხანაგო ნიანგო!
 ყოველმხრივ კეთილმოწყობილ თავისუფლების მოედანზე ყოფილი ქარხნის შინაარსის აღებისას თან მიაყოლეს საპირფარეო შოც, რის გამოც დროთა განმავლობაში მისი მოვალეობის ამსრულებელი შეიქმნა მუხეუმის ქუჩა, რის გამოც ჩვენ ამ ქუჩის მკვიდრნი დავჯილდოვდით მშვენიერი სურნელოვანი ჰაერით. ამიტომ გვეკითხებით, ამხანაგო ნიანგო, ხომ არავინ შეგვედავება ჩვენ ამ ქუჩის მკვიდრთ ამ სანეტარო ბედნიერებაში?

ლილინი

რაც მოგივა ღავითაო
 ავალა ზანი თავითაო.

აჯამეთის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის ბუჰალტერმა დავით ქერეჯაშვილმა მეურნეობის ლიკვიდაციის დროს შეიყიდა ერთი ღორი, რომელსაც მუქიად გააყოლა ოთხი ღორი.



ფულებს იოლად იშოვნის
 მოხერხებული კაცია.
 ღორების მეურნეობას
 ვუყავით ლიკვიდაცია.
 ვაყისე ერთი ღორი და
 შინ მოვიყვანე ხუთია,
 თითო შოივანი წონითა
 იქნება შვიდი ფუთია.

ვისაც რა უნდა, ისა თქვას,
 ეს ხუთი ღორი ჩემია.
 ერთში ხომ ფული მივეცი,
 ოთხი? დე იყოს პრემია,
 ბუხი ვარ მოხერხებული,
 ქერეჯაშვილი დავითა
 არ უჭირს ქვეყნად ცხოვრება
 კაცს ჩემისთანა თავისა.

გოლორი

როსინატას (სოფ. ფახულანა), წალენჯიხის რ.) თქვენს „ნიანგისადმი განცხადება“-ში ერთ ალაგას ასე სწერია: „მასწავლებელი ვარ და:

პ.-პოლს (სადგ. რიონი) გვთხოვთ, რომ შევიდეთ თქვენს მდგომარეობაში და დავიბეჭდოთ:

დამითხოვეს სკოლიდანა,
 მიმაჯინეს ჩამქრალ კერას
 ცოლმა მითხრა: კრებ-დე-შინი
 მომიტანე შესაკერად.

არსად მინახავს, ძმაო,
 სადგური ანნაირი.
 სწამლავს მთელ არე-მარცხ
 აქ მყრალი რამ აირი.
 ძილში მანეთი ასი
 ვ. დაცამ ამაცალა
 მაგრამ ღმერთს მაინც ვშადლოვ,
 გადარჩა ეს მახალა.

ჩვენ სრულიად სამართლიანად მიგვაჩნია თქვენი მოხსნა. არ გირჩევთ, რომ განცხადებებით მიმართოთ სხვა ორგანოებს, თორემ კიდევ უფრო გამოირკვევა თქვენი უფიცობა, და მართლაც ახი იქნება მაშინ თქვენზე:

როგორც ჩანს, ეს წერილი ფულთან ერთად გქონიათ. რა იცოდით, რომ დავეძინებოდათ სადგურში და ფულს ახოვაცილიდნენ ჯიბიდან? როგორც ჩანს წინასწარმეტყველი ყოფილხართ. ასეთი ლექსების წერას გახსა არ გირჩევნიათ წინასწარმეტყველობას მოჰკიდოთ ხელი?

ქათამა ჩხრიკა, ჩხრიკაო
 და დანა გამოჩხრიკაო.
 რაც მოგივა დავითაო
 შენი ავი თავითაო.



მისაკვი

მეხის გავარდნის მეცხრამეტე წელს
(მეცხრამეტეა დღეს ოქტომბერი),
კვდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ
შოკვდა
ძველი სამყარო, უნდა ბებრა.
დიდი ოქტომბრის უოველწლის თავ-
ზე
ეს ბებრუნანა ამოიკვხეხებს,
„ტვიინის ანთებით“ დაავადებულს
პიტღერი წამლობს უკეთებს ნემსებს.
მაგრამ განწირულს რალა უშოიის
უდავო არის — აყირავდება,
ჩაშინ კი მიწის ხუთ მეექვსედზეც
წითელ დროშის ქვეშ ხალხი დადგება.